

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: რეგიონული გეოგრაფია და გეოინფორმატიკა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გეოგრაფიის დოქტორი (გეოგრაფია, გეოინფორმატიკა)
Ph.D in Geography (Geography, Geoinformatic)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია მომზადდეს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი (გეოგრაფი და კარტოგრაფ-გეოინფორმატიკოსი), რომელსაც სრულად და ჯეროვან სამეცნიერო დონეზე ექნება გათავისებული ერთიანი (კომპლექსური) გეოგრაფიის, კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის, საქართველოს და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური ვითარების და მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები.

სადოქტორო პროგრამის მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება რეგიონული გეოინფორმაციული სისტემების, კარტოგრაფიული და გეოინფორმაციული ტექნოლოგიების, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევის თანამედროვე მეთოდების სრულფასოვანი ცოდნის საფუძველზე.

შედეგი: სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მომზადებულ სპეციალისტებს ექნებათ:

- 1) მთიანი ტერიტორიების (საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს) ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემეტიკის სივრცე-დროითი თავისებურებების განსაზღვრის, ანალიზისა და შეფასების უნარი;
- 2) თანამედროვე გეოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევის, გეოინფორმაციული ტექნოლოგიების და გის-მეთოდების გამოყენების უნარი;
- 3) საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევის და ლანდშაფტური დაგეგმარების უნარი;
- 4) გეოგრაფიის, კარტოგრაფიის და გეოინფორმატიკის აქტუალური თეორიული და გამოყენებით პრობლემების განსაზღვრის, შეფასების და წარმოჩენის უნარი;
- 5) საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების გეოგრაფიული და გეოინფორმაციული ანალიზის უნარი.

სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიმართულებანი:

1. ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს და ეკოლოგიური ვითარების გეოგრაფიული თავისებურებების კვლევა გის - ანალიზის მეშვეობით;
2. საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების კომპლექსური გეოგრაფიული ანალიზი გის-მეთოდების გამოყენებით;
3. საქართველოს, კავკასიის და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების მსხვილი, საშუალო და წვრილმასშტაბიანი ლანდშაფტური დაგეგმარება გის-ანალიზის საფუძველზე;
4. მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა გის-მეთოდების გამოყენებით;
5. საქართველო, კავკასიის და მსოფლიოს გეოეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემების კვლევა გის-ანალიზის საფუძველზე;
6. გეოგრაფიის, კარტოგრაფიის და გეოინფორმატიკის აქტუალური თეორიული და გამოყენებითი პრობლემეტიკის კვლევა;
7. გეოგრაფიის, კარტოგრაფიის და გეოინფორმატიკის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენება გეოგრაფიულ ანალიზსა და სინთეზში.

პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი შეისწავლის:

1. საქართველოს და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ გარემოს მდგრადობასთან, დემოგოგრაფიულ და გეოეკოლოგიურ ვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემეტიკას;
2. მდგრადი განვითარების და ლანდშაფტური დაგეგმარების ძირითად პოსტულატებს და მასთან დაკავშირებული პრობლემეტიკის გადაწყვეტის გზებს;
3. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენის, კარტოგრაფირების და გეოინფორმაციული ანალიზის მეთოდებს;

4. გეოგრაფიის და კარტოგრაფია - გეოინფორმატიკის, როგორც ფუნდამენტური სამეცნიერო დისციპლინების, განვითარებისა და გამოყენების თავისებურებებს;
5. კარტოგრაფიული და გეოინფორმაციული ტექნოლოგიების, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

სასწავლო კომპონენტი:

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	სემესტრი
1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	II
2	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	10	I
3	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	10	II
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	25	II
5	არჩევითი კურსი		10	

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

რეგიონული გეოგრაფიის, კარტოგრაფია_ გეოინფორმატიკის და ლანდშაფტური დაგეგმარების დოქტორანტურის კურსდამთავრებულნი შეიძლება დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამეცნიერო, სამეურნეო, საგანმანათლებლო, საპროექტო და სხვა დაწესებულებებში. სახელმწიფო დაწესებულებებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება - გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკური განვითარების, სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, ენერგეტიკის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის და სხვ. სამინისტროები და მათი სტრუქტურები, რეგიონული და რაიონული ადმინისტრაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა; სამეცნიერო დაწესებულებებში იგულისხმება - სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები; სამეურნეო დაწესებულებებში - ბუნებრივი გარემოს და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით დაკავებული ორგანიზაციები; საგანმანათლებლოში - უმაღლესი და საშუალო სკოლები; საპროექტო დაწესებულებებში - ბუნებრივი გარემოს და ბუნებრივი რესურსების შესწავლით და გამოყენების დაგეგმარებით დაკავებული სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები, კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენებით მომუშავე ფირმები და კომპანიები.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

დოქტორანტურაში ჩამბარებელ პირს მოეთხოვება: გეოგრაფიის ან მისი მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულების მაგისტრატურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი; კომპიუტერული პროგრამების: Microsoft word, Excel, Corel dreu, Mapinfo, Arcinfo, Arcmep, Arc GIS, Arcwie, და სხვ. საფუძვლიანი ცოდნა.

სწავლების მესამე საფეხურზე შემოსულ ახალგაზრდას შეძენილი უნდა ჰქონდეს: დამოუკიდებელი სამეცნიერო - გეოგრაფიული კვლევის უნარ-ჩვევები; ფლობდეს ინფორმაციას მონათესავე სამეცნიერო მიმართულებების ძირითადი საკითხების და პრობლემების შესახებ; იცოდეს საქართველოს, კავკასიისა და მსოფლიოს ცალკეული რეგიონების გეოგრაფიული გეოეკოლოგიური პრობლემატიკა;

სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

მიმართულებაზე სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის და გის-ანალიზისთვის არსებობს 5 პერსონალური კომპიუტერი (2 პრინტერთა და 1 სკანერთ), 2 GPS, 2 საშუალო თაობის თეოდოლიტი, ნიველირი, კიპრეგელი. სავლე-ექსპერიმენტალური კვლევებისთვის შესაძლებელია ჩატარდეს მარტყოფის სასწავლო ლაბორატორიის ბაზაზე, გამოყენებულ იქნას მდიდარი კარტოგრაფიული და სამეცნიერო ფონდი, GIS მონაცემთა ბაზები და სხვ.

სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჯანსუღ კველია; გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული

პროფესორი, ლია მაჭავარიანი, გეოგრაფიის დოქტორი, გულიკო ლიპარტელიანი; გეოგრაფიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი გიორგი მელაძე, გეოგრაფიის დოქტორი ალექსანდრე ჯავახიშვილი, გეოგრაფიის დოქტორი გია სოფაძე.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე წარმოდგენილ პროგრამაზე შესაძლებელია 3 დოქტორანტის მიღება.